

მე-6 განყოფილება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

განსახილველი საკითხები

- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
- სრულ ფასს-თან შედარება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

(ა) საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, (ცალ-ცალკე სათავო საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელი წილისათვის);

(ბ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები; და

(გ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს საბალანსო ღირებულებების შეჯერება, ცალ-ცალკე ასახვით:

(i) მოგების ან ზარალის ცვლილებით;

(ii) სხვა სრული შემოსავლის ცვლილებით; და

(iii) მესაკუთრეების მიერ მესაკუთრის რანგში ინვესტირებული თანხებით, ან მათზე გაცემული დივიდენდებისა და სხვა სახის განაწილებით, ასევე შვილობილ საწარმოებში საკუთრების წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას.

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საწარმოს შეუძლია ერთი, მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა, სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ნაცვლად, თუ საკუთარი კაპიტალის ცვლილება განპირობებულია მხოლოდ:

- მოგების ან ზარალის ცვლილებით,
- დივიდენდების გაცემით,
- წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა, და
- სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით.

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საწარმომ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში დამატებით უნდა წარადგინოს შემდეგი მუხლები:

(ა) გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის;

(ბ) საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდები;

(გ) წინა პერიოდების შეცდომების გასწორების გათვალისწინებით კორექტირებული გაუნაწილებელი მოგება;

(დ) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გათვალისწინებით კორექტირებული გაუნაწილებელი მოგება; და

(ე) გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

შედარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მსს ფასს-ის თანახმად თუ საწარმოს სხვა სრული შემოსავლის მუხლები არ აქვს შეუძლია წარადგინოს ერთიანი მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება. სრული ფასს ამის შესაძლებლობას არ იძლევა.